

საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

თამარ ლოლიშვილი

“პატრიოტიზმის” თემატური სივრცის ასოციაციური განზომილებები

(თანამედროვე ინგლისური ენის მაგალითზე)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

232.1.3

თბილისი

2022

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ჩხეიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

გარე ექსპერტები: მადონა შელია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ნათელა მოსიაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2022 წლის 28 ივლისს, 15:00 საათზე.

მისამართი: თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, კოსტავას 77ა.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2022 წლის 6 ივლისს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ნათია მანჯიკაშვილი

შესავალი

კონცეპტის დისკრეტულობა გულისხმობს კონცეპტის ღიაობას დროითა და სივრცით განპირობებული შესაძლო ცვლილებებისათვის - ახალი გამოცდილებისა და ცოდნისათვის. სწორედ დისკრეტულობის წყალობით ჩნდება კონცეპტის შინაარსობრივ განზომილებაში თავისუფალი პოზიციები, რომლებიც მიუთითებენ ახალ ინტერპრეტაციათა გაჩენის ალბათობაზე.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ვექტორი მიმართულია მეტყველი სუბიექტის ენისა და სამყაროსადმი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი დამოკიდებულების, ინდივიდის ინტენციების, სურვილებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების, სამყაროს აღქმისა და მისი კონცეპტუალიზაციის კვლევაზე.

კონკრეტული ენის მატარებელთა ინტერსუბიექტური თვალსაზრისების სისტემის სპეციფიკა, ინდივიდის ცნობიერებაში არსებული ცოდნისა და წარმოდგენების თავისებურებები აკუმულირებულია ასოციაციებში. სწორედ ასოციაციაში ვლინდება სიტყვის ენობრივ ცნობიერებაში ფიქსაციისა და თავად ენობრივი ცნობიერების თავისებურება.

ასოციაციურ მნიშვნელობაში აკუმულირებულია სიტყვის ენის მატარებლისათვის აქტუალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, რომელშიც ვლინდება სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობასა და სიტყვის რეალურ სემანტიკას შორის არსებული სხვაობა. სიტყვის აქტუალურ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაში იკვეთება სიტყვის ასოციაციური დიაპაზონი, რომელიც არღვევს სიტყვის ლექსიკონში ფიქსირებული მნიშვნელობის საზღვარს.

სიტყვის „ცხოვრებაში“ მომხდარი ძვრები გამოწვეულია, ერთი მხრივ, კონკრეტული სოციუმის კულტურულ მნიშვნელობათა სისტემის ტრანსფორმაციით, მეორე მხრივ კი, კოგნიტურ-დისკურსული პროცესების სპეციფიკით, რომელშიც სიტყვა მონაწილეობს აზრთწარმოქმნის მეშვეობით.

ცოდნის სოციალური და ინდივიდუალური სისტემების ანალიზი იძლევა კონცეპტის შინაარსობრივი ველის აღწერის საშუალებას. ეს ველი აერთიანებს მნიშვნელობებსა და შინაარსებს, ინდივიდისა და სოციუმის კოგნიტურ-დისკურსული მოღვაწეობის პროცესებსა და შედეგებს.

რამდენდაც სიტყვის ლექსიკონში ფიქსირებული მნიშვნელობა არც და ვერც ასახავს სიტყვის „ცხოვრებაში“ დროითა და სივრცით განპირობებულ ძვრებს, ენის

მატარებლისათვის სიტყვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რეალური მნიშვნელობის დადგენა აუცილებლობით უნდა გულისხმობდეს ასოციაციური მნიშვნელობის ანალიზს. სწორედ აღნიშნული აუცილებლობა განაპირობებს კვლევის აქტუალობას.

დღეს საკმაოდ აქტუალურია ლინგვისტურ კვლევაში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სინთეზირების პრობლემა. აღნიშნული პრობლემა გულისხმობს ორი პარადიგმის ინტეგრაციასთან, უფრო ზუსტად კი, შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებულეთა გადაჭრას.

ორი პარადიგმის გაერთიანების სარგებელი არაერთხელ იქნა განხილული სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროებში განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში.

ყველა მეცნიერი თანხმდება იმის თაობაზე, რომ მიდგომების გაერთიანება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ სასარგებლოა ფენომენის სხვადასხვა ასპექტის გამოვლენისათვის. მიუხედავად ამ ფაქტისა, ისევ ელოდება პასუხს შემდეგი შეკითხვები: რამდენად ბუნებრივია სხვადასხვა პარადიგმისა და მეთოდის გაერთიანება ერთ სააზროვნო სივრცეში? რა განაპირობებს ამ ტიპის გაერთიანების აუცილებლობას? როგორ უნდა დაიძლიოს სხვადასხვა მიდგომათა შეჯერებასთან დაკავშირებული პოტენციური ბარიერები? როგორ უნდა ჩამოყალიბდეს რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით შაბლონები? როგორ უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული შაბლონები თვისებრივ ინტერპრეტაციაში? როგორ უნდა დადგინდეს ორი პარადიგმის ინტეგრაციის ხარისხი? აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხების მოძიება წარმოადგენს კვლევის აქტუალობისა და ინტერდისციპლინარულობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს.

კვლევის მიზანია კონცეპტის „პატრიოტიზმი“, ასოციაციური განზომილების მოდელირება თანამედროვე ინგლისურ ენაში, რაც იძლევა, ერთი მხრივ, კონცეპტის შინაარსის, როგორც ფსიქოლოგიური მოცემულობის რეპრეზენტაციის, მეორე მხრივ კი, ამ შინაარსის სტაბილური კომპონენტების გამოვლენის შესაძლებლობას.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის შემდეგი ამოცანებისა და ეტაპების განხორციელება:

I. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების მოდელირება, კერძოდ:

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარება;

ექსპერიმენტის მონაცემთა (რეაქციების) მთელი კორპუსის სტრუქტურურება სიხშირის მიხედვით, რაც უზურველყოფს თანამედროვე ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის მატარებელ რესპოდენტთა ლინგვისტურ ცნობიერებაში სიტყვა-სტიმულზე -

„პატრიოტიზმი“, ყველაზე აქტუალური ასოციაციების იდენტიფიცირების შესაძლებლობა;

სიხშირით მიღებული მონაცემების თვისებრივი ინტერპრეტაცია, რაც ავლენს ლინგვისტური ცნობიერებისთვის ყველაზე აქტუალურ კოგნიტურ ნიშნებს და უზრუნველყოფს კონცეპტის ფუნქციონირების ფსიქოლოგიური ასპექტის დესკრიფციას; ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვისა და პერიფერიის განსაზღვრა.

II. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური აღწერა თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომელიც მოიცავს:

კვლევის მოსამზადებელ ეტაპს - ენციკლოპედიური წყაროების, ლექსიკონების მონაცემებისა და ინტერნეტ მონიტორინგის შედეგად მოძიებული ენობრივი მასალის შეგროვებასა და პირველად დამუშავებას.

კვლევის პირველ ეტაპს:

პატრიოტიზმის შესახებ არსებულ წარმოდგენათა აღწერას ფილოსოფიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების, ფილოსოფიური, სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებების მასალებზე დაყრდნობით;

კონცეპტის სემანტიკური მოცულობის განსაზღვრას თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში: კონცეპტის ვერბალიზატორთა სალექსიკონო დეფინიციების ანალიზს;

მიღებული მონაცემების შევსებას ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ფონდების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებით.

კვლევის მეორე ეტაპს:

კონცეპტის ვერბალიზატორთა შორის პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებათა აქტუალიზაციის სპეციფიკის განხილვას;

კონცეპტის კონცეპტუალური შინაარსისა და კოგნიტური ნიშნების რეპერტუარის იდენტიფიცირებას;

კონცეპტის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირებას;

კონცეპტის აქსიოლოგიური ველის კონსტრუირებას.

კვლევის მესამე ეტაპს:

კონცეპტის ვერბალიზატორთა გამოყენების კონტექსტებისა და ინტერნეტ მონიტორინგით მიღებული მონაცემების ანალიზის გზით წინა ეტაპებზე გამოვლენილი კოგნიტური ნიშნების რეპერტუარის დაზუსტებას;

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ობიექტურობისა და სისრულის ვერიფიკაციას ასოციაციური განზომილების, კონცეპტუალური და სემანტიკური სივრცეების შემადგენლობათა ანალოგიაზაცია-კონტრასტირების გზით.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: რამდენადაც ეროვნული კულტურის კონცეპტუალური სფერო მთლიანობაში არის ინდივიდუალური, გენდერული, ასაკობრივი და სხვა ტიპის „სამყართა“ ინვარიანტული კონსტრუქტი, რომელიც ვალიდურია კონკრეტული ეთნოსის მსოფლმხედველობის ფარგლებში ეთნოსის სულიერი ევოლუციის ამა თუ იმ ეტაპზე, საფიქრებელია, რომ რეაქციები სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“ უნდა სხვაობდნენ თანამედროვე ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის მატარებელ რესპონდენტთა ასაკის, სქესისა და კულტურული მახასიათებლების მიხედვით.

კვლევის მეთოდოლოგია ხასიათდება კომპლექსურობით: „ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის კვლევამ მოითხოვა ანალიზის მიმართ კოგნიტურ-დისკურსული მიდგომის თეორიული დასაბუთება, ასევე სპეციალური მეთოდიკისა და ექსპერემენტალური პროცედურების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებულია შინაარსის შემქმნელი პროცესების აქტუალიზაციაზე.

ასოციაციური განზომილების ანალიზის მიმართ კოგნიტურ-დისკურსულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა სიტყვის იდენტიფიკაციის პროცესებისა და შედეგების ფუნქციური სპეციფიკის დადგენა სიტყვის შინაარსობრივი ველის კოგნიტურ, სემანტიკურ და სამეტყველო (დისკურსულ) დონეებზე.

კოგნიტურ-დისკურსულმა მიდგომამ მოითხოვა ასოციაციური განზომილების ანალიზის ორდონიანი მეთოდიკის შემუშავება. მოცემული მეთოდიკა ემყარება სიტყვა-სტიმულსა და რეაქციას შორის შინაარსობრივი კავშირების ანალიზს.

„ცოცხალი“ სიტყვით წარმოდგენილი შინაარსობრივი ველის სტრუქტურული პარამეტრების რეკონსტრუქციისა და მოდელირების პროცედურათა კომპლექსმა მოიცვა: მიღებული ასოციაციური რეაქციების მთელი კორპუსის სტრუქტურურება სიხშირის მიხედვით და ამ საფუძველზე ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვის გამოყოფა;

რეაქციებსა და სიტყვა-სტიმულს შორის აზრობრივი კავშირების რეკონსტრუქცია;

რეაქციათა კლასიფიკაცია აზრობრივი კავშირის ტიპის შესაბამისად და ამის საფუძველზე კოგნიტური ფენების განსაზღვრა;

სიტყვის მნიშვნელობის კოგნიტური სტრუქტურის მოდელირება;

სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირება რეაქციების სემანტიკური მახასიათებლების გათვალისწინების საფუძველზე.

სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურული პარამეტრების ანალიზმა ასოციაციური განზომილების ფარგლებში მოიცვა ისეთი ფუნქციონალური საყრდენების მოდელირების საშუალებათა ანალიზი, როგორებიცაა: ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვი, სიტყვის კოგნიტური და სემანტიკური სტრუქტურები.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ოპერაციონალური პარამეტრების კვლევის მეთოდის შემუშავებისას კვლევაში გათვალისწინებულია დებულება სამეტყველო ქმედების მრავალეტაპიანი და მრავალდონიანი ხასიათის შესახებ, რამაც უზრუნველყო ხერხებისა და პროცედურების რეპერტუარის ჩამოყალიბება.

კვლევაში გამოყენებულია სემანტიკური დეკომპოზიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები, ექსპერიმენტული მეთოდი, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, ასევე ანალიზის ზოგადმეცნიერული ფორმები, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, ანალოგიზაცია, კონტრასტირება და მოდელირება.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კომპლექსურ აღწერასა და მისი ასოციაციური განზომილების, როგორც ინდივიდუალური, გენდერული, ასაკობრივი და კულტურული ტიპის „სამყაროთა“ ინვარიანტული კონსტრუქტის გააზრებაში.

კვლევის თეორიული ღირებულება განისაზღვრება:

ინტერპარადიგმულობით - კვლევაში სინთეზირებულია სისტემურ-სტრუქტურული და ანთროპოცენტრისტული პარადიგმების ფარგლებში შემუშავებული სემანტიკური დეკომპოზიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები;

ლინგვისტურად ცენტრირებული ინტეგრაციულობით - კვლევაში ინტეგრირებულია ლინგვოკოგნიტოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეები;

ინტერდისციპლინარიზმით - კვლევა განხორციელებულია ლინგვისტიკის, აქსიოლოგიის, კულტუროლოგიისა და სოციოლოგიის კვეთაზე.

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია - განხორციელებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სინთეზირება:

მონაცემები მოპოვებულია ორი სახის პროცედურის - თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტისა და ინტერვიუს - მეშვეობით;

ინტეგრირებულია რიცხვითი და ტექსტუალური მონაცემები;

განხორციელებულია მონაცემების სტატისტიკური და თემატური ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს კვლევის შედეგების ვალიდურობა კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემები - რეაქციები სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში. საკვლევი კონცეპტის კონცეპტუალური შინაარსი და სემანტიკური მოცულობა განსაზღვრულია ლექსიკოგრაფიული წყაროებზე დაყრდნობით, ასევე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ფონდების ანალიზის გზით.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე.

განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველი თავი - ფსიქოლინგვისტიკა, კონცეპტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია - კონცენტრირებულია სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის სპეციფიკისა და ენობრივი კონცეპტუალიზაციის ფსიქოლინგვისტური საფუძვლების არსის ანალიზზე.

მეორე თავში - კონცეპტი და კონცეპტუალური სფერო - განხილულია კონცეპტის სტრუქტურული ორგანიზაციისა და ენობრივი ობიექტივაციის თავისებურებები; გაანალიზებულია კონცეპტუალურ სფეროში ინტეგრირებულ კონცეპტთა კლასიფიკაციის პრინციპების არსი.

მესამე თავი - მეთოდოლოგია და მეთოდები - კონცენტრირებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, შერეული მეთოდოლოგიის, ასევე თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის თავისებურებათა ანალიზზე.

მეოთხე თავში - კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება თანამედროვე ინგლისურ ენაში - იდენტიფიცირებულია ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების ჩატარებისა და შედეგების ინტერპრეტაციის პრობლემები; მოდელირებულია კონცეპტის ასოციაციური განზომილება.

მეხუთე თავში - კვლევის შედეგების ვერიფიკაცია - განხილულია ლინგვოკოგნიტური მიდგომის გამოყენების სპეციფიკა ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევაში;

წარმოდგენილია კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური

ექსპლიკაციის თავისებურებები თანამედროვე ინგლისურ ენაში; განხორციელებულია ასოციაციური განზომილებისა და კონცეპტუალური სივრცის ანალოგიზაცია-კონტრასტირება.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი I. ფსიქოლინგვისტიკა, კონცეპტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია კონცეპტუალიზაცია წარმოადგენს ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც გულისხმობს მიღებული ინფორმაციის გააზრებას, რომლის შედეგადაც ყალიბდება კონცეპტები, კონცეპტუალური სტრუქტურები, მენტალური რეპრეზენტაციები, ცოდნის ახალი კვანტები და ადამიანის მთელი კონცეპტუალური სისტემა. კონცეპტუალიზაცია გულისხმობს გარე სამყაროს შესახებ არსებული ქაოტური ინფორმაციის ორგანიზებას - ერთგვარ „შეფუთვას“.

თანამედროვე კოგნიტურად ორიენტირებულ ლინგვოკულტუროლოგიურ მიმართულებაში სამყაროს ლინგვისტური კონცეპტუალიზაცია გაგებულია როგორც რეალობის კოგნიტური მოდელირების ორგანიზებული პროცესი. ამ პროცესის მთავარ შედეგს კი წარმოადგენს „სამყაროს ენობრივი ხატის“ ფორმირება.

ენობრივი ფენომენების ანალიზისათვის არ არის საკმარისი წმინდა ენობრივი მეთოდოლოგია - ნათელია ახალი მიდგომების გამოყენების აუცილებლობა.

ანთროპოცენტრისტულმა პარადიგმამ მისცა ლინგვისტებს სხვადასხვა მეცნიერებების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენების საშუალება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება ფსიქოლოგიის კონცეპტუალურ-კატეგორიული აპარატი, რადგან მხოლოდ მისი დახმარებითაა შესაძლებელი კონცეპტუალიზაციის არსის წვდომა.

ფსიქოლინგვისტურ მეთოდოლოგიაში კონცეპტები გააზრებულია როგორც დინამიური წარმონაქმნები, რომლებიც ქმნიან სეგმენტირებულ კონცეპტუალურ ჯაჭვებს. სწორედ ამ ჯაჭვთა კომპონენტების კომბინაციები განსაზღვრავენ კონცეპტის შინაარსს.

თავი II. კონცეპტი და კონცეპტუალური სფერო

კონცეპტი დისკრეტული მენტალური წარმონაქმნია, რომელსაც გააჩნია მოწესრიგებული შინაგანი სტრუქტურა. კონცეპტი წარმოადგენს პიროვნებისა და საზოგადოების კოგნიტური საქმიანობის შედეგს. აღნიშნულ შედეგში კი ვლინდება ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულება საგნისა და თუ მოვლენის მიმართ.

კონცეპტუალური შინაარსის მინიმალურ სტრუქტურულ ელემენტად მიჩნეულია კოგნიტური ნიშანი, რომელიც წარმოადგენს კომპონენტური ან დისტრიბუციული

ანალიზის, სალექსიკონო დეფინიციების ანალიზის, კონტექსტუალური ანალიზისა და ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის შედეგად კონსტრუირებულ დისკრეტულ ერთეულს.

კოგნიტურ ნიშანთა ერთობლიობა ქმნის კონცეპტუალურ შინაარსს. კოგნიტური ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან პროტოტიპთან სიახლოვით - ზოგი კოგნიტური ნიშანი უფრო ახლოსაა პროტოტიპთან, შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანია კონცეპტის ძირითადი შინაარსისათვის, ზოგი კი - უფრო დისტანცირებულია პროტოტიპისაგან, შესაბამისად, ნაკლებად მნიშვნელოვანია კონცეპტის ძირითადი შინაარსისათვის. კოგნიტური ნიშნები ქმნიან გარკვეულ იერარქიას.

კონცეპტუალური სფერო არის ეროვნული კულტურის კონცეპტთა იერარქიულად ორგანიზებული ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ეთნოსის შემეცნებითი და შემფასებლურ-ღირებულებითი აქტივობის შედეგად, რომელიც ორიენტირებულია სამყაროს წვდომასა და სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის გააზრებაზე.

თავი III. მეთოდოლოგია და მეთოდები

ნაშრომში მეთოდოლოგიისა და მეთოდების სპეციფიკის ანალიზი ორიენტირებულია: რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენების გზით მონაცემების ორგანიზებისა და დამუშავების სპეციფიკის გამოვლენაზე; თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და პარადიგმების თავისებურებათა ანალიზზე; თვისებრივი კონტენტანალიზის სპეციფიკის, კვლევის სანდოობისა და ვალიდურობის განმსაზღვრელ ფაქტორთა იდენტიფიცირებაზე; შერეული მეთოდოლოგიისა და ტრიანგულაციის, როგორც ცენტრალური მეთოდოლოგიური კონცეპტის გააზრებაზე; თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის, როგორც ენობრივი ცნობიერების შინაარსის კვლევის ინსტრუმენტის თავისებურებათა ანალიზზე.

კვლევის არსის გააზრება მოითხოვს მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების ცოდნას, რაც ეფუძნება კვლევის რელევანტურ პარადიგმებს. კვლევის პარადიგმის არსის გააზრება კი მოითხოვს სამ ფუნდამენტურ შეკითხვაზე პასუხის გაცემას: რისი გაგება შეიძლება სამყაროს ხატის კონკრეტულ ფრაგმენტზე? რა მიმართება ფიქსირდება მკვლევარსა და საკვლევ ობიექტს შორის? როგორ უნდა აღმოაჩინოს მკვლევარმა ის, რისი გაგებაც სურს? აღნიშნული შეკითხვები ურთიერთდაკავშირებულია და განსაზღვრავენ კვლევის სპეციფიკას.

თავი IV. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება თანამედროვე ინგლისურ ენაში

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კვლევამ მოითხოვა თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარება, რამდენადაც სემანტიკური სტრუქტურის რეკონსტრუქცია შეუძლებელია ასოციაციური კავშირების დადგენის გარეშე.

ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტები, პირველ რიგში კი, ასოციაციური ექსპერიმენტი, იძლევა ენის მატარებელთა ენობრივი ცნობიერების აღწერისა და ენობრივ ხატზე წვდომის შესაძლებლობას.

სიტყვის ცალკეული მნიშვნელობის, როგორც ენობრივი ცნობიერების ფენომენის ყველაზე სრულყოფილი და დეტალური აღწერისათვის მეტად ეფექტური მეთოდია იმ შედეგების ინტეგრაცია, რომელიც მიღებულია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტისა და სუბიექტური დეფინირების მეთოდის მეშვეობით.

ნაშრომში ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდიკა ეფუძნება ლინგვოკოგნიტური მოდელირების იდეებს და კონცეპტის ექსპერიმენტული ანალიზის პრინციპებს.

ექსპერიმენტის ჩატარების ტექნოლოგია ეფუძნება თავისუფალ ასოციაციურ მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს ტიპური ასოციაციური კავშირების გამოვლენას. აღნიშნული კავშირების განზოგადების, შეჯამებისა და ექსტრაქციის პროცესში იდენტიფიცირდება რესპონდენტების ინდივიდუალური რეაქციების ერთობლიობა სტიმულებზე. სწორედ აღნიშნული რეაქციები ქმნიან კონცეპტის ასოციაციურ განზომილებას.

კონცეპტის სტრუქტურაში არსებულ კოგნიტურ ნიშანთა რანჟირების შედეგად ვლინდება ბირთვული და პერიფერიული კოგნიტური ნიშნები. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ამ მონაცემთა შესაბამისობა-შეუსაბამობის დადგენა კოგნიტურ ნიშნებთან.

თავი V. კვლევის შედეგების ვერიფიკაცია

კონცეპტის ლინგვოკოგნიტურული თვალსაზრისით ანალიზი ავლენს კონცეპტის მდგრადობისა და ვარიანტურობის ხარისხს.

ასოციაციური განზომილების მოდელირებამ მოგვცა, ერთი მხრივ, სიტყვის

„პატრიოტიზმი“ შინაარსის რეპრეზენტაციის, მეორე მხრივ კი, ამ შინაარსის სტაბილური კომპონენტების იდენტიფიცირების შესაძლებლობა. სწორედ აღნიშნული შესაძლებლობის გამო განიხილება ასოციაციური განზომილების კონსტრუირება სიტყვის მნიშვნელობის ანალიზის ინსტრუმენტად.

იძლევა რა კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა ენობრივი ცნობიერების

ეროვნული თავისებურების გამოვლენის შესაძლებლობას, ასოციაციური განზომილება

წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის ვერბალური მეხსიერების ფრაგმენტს, არამედ კონკრეტული ეთნოსის ცნობიერებაში ფიქსირებული სამყაროს ხატის ფრაგმენტს. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა სიტყვის „პატრიოტიზმი“ აქტუალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და მისი ასოციაციურობის დიაპაზონი. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს „ცოცხალი“ სიტყვის ფსიქოლოგიურ მოცემულობას, რომელიც სცდება სიტყვის სალექსიკონო დეფინიციებს. კონცეპტის ასოციაციურ განზომილებაში ნათლად იკვეთება ინდივიდის დამოკიდებულება ენისა და სამყაროსადმი. ამ დამოკიდებულებაში ვლინდება ინდივიდის ზრახვებისა და სურვილების, სამყაროს აღქმისა და მისი კონცეპტუალიზაციის სპეციფიკა.

დასკვნა

კონცეპტის დისკრეტულობა განაპირობებს კონცეპტის შინაარსობრივ ველში დროითა და სივრცით განპირობებულ შესაძლო ცვლილებებს, შედეგად კი, თავისუფალი პოზიციებისა და ახალი ინტერპრეტაციების გაჩენის ალბათობას. თავისუფალი პოზიციები ივსება ასოციაციებით.

სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობასა და სიტყვის რეალურ სემანტიკას შორის არსებული სხვაობა ვლინდება ასოციაციურ მნიშვნელობაში აკუმულირებულ სიტყვის აქტუალურ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაში. სიტყვის აქტუალურ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაში იკვეთება სიტყვის ასოციაციური დიაპაზონი, რომელსაც ძალუმს ლექსიკონში ფიქსირებულ დეფინიციათა საზღვრის გადალახვა.

კონცეპტების ანალიზის ფსიქოლინგვისტური მეთოდოლოგიის გამოყენება გულისხმობს კონცეპტების განხილვას დინამიურ წარმონაქმნებად, რომლებიც ქმნიან ასოციაციურ ჯაჭვებს. სწორედ ამ ჯაჭვთა კომპონენტების კომბინაცია ქმნის კონცეპტის ასოციაციურ განზომილებას.

კონცეპტის ასოციაციური შინაარსის „გავრცელების“ საზღვრების მონიშვნა უზრუნველყოფს კონკრეტული ერის ენობრივი ცნობიერებისა და ვერბალური მეხსიერების კონკრეტული ფრაგმენტის თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას. ნაშრომში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება მოდელირებულია სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“ რეაქციების სიხშირის განსაზღვრის პრინციპით. აღნიშნულმა პრინციპმა უზრუნველყო ასოციაციური განზომილების სეგმენტაციის - ასოციაციურ განზომილებაში ერთმანეთის მიმართ დომინანტური სეგმენტების გამოყოფის შესაძლებლობა.

ასოციაციური განზომილების სტრუქტურული სპეციფიკა - გრადუალურობა - იძლევა ასოციაციური განზომილების დინამიურ მთლიანობად გააზრების შესაძლებლობას. სწორედ დინამიურობაში იკვეთება კონცეპტის შინაარსისა და კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა მნიშვნელობების „მოძრაობის“ ტრაექტორია.

ნაშრომში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება კონსტრუირებულია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის გზით. ასოციაციურმა მიდგომამ უზურნველყო არა მხოლოდ კონცეპტში ექსპლიციტურად გამოხატული ცოდნის სტრუქტურების იდენტიფიცირების, არამედ გაუცნობიერებელი ცოდნის რეკონსტრუქციის შესაძლებლობაც.

კვლევამ დაადასტურა, რომ ასოციაციურ მიდგომას გაჩნია დიდი პოტენციალი „ცოცხალი“ სიტყვის კვლევის თვალსაზრისით, ვინაიდან აღნიშნული მიდგომა ააქტიურებს კონკრეტული კულტურის წესებისა და ნორმებისათვის ტიპური ასოციაციების გენერირების პროცესებს, ასევე იძლევა ორ სხვადასხვა სისტემაში - სოციალურსა და ინდივიდუალურში - შეღწევის შესაძლებლობას.

კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა ანალიზი ასოციაციური განზომილების ფარგლებში გულისხმობს ობიექტივატორთა „ჩართვას“ ბუნებრივი სემიოზის პროცესში. ეს კი იძლევა კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში ობიექტივატორთა ფუნქციონირების სპეციფიკაზე დაკვირვების საშუალებას. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ელემენტთა ანალიზმა ცხადყო, რომ:

- რეაქციები სიტყვა-სტიმულით მოტივირებული აზრობრივი ერთეულებია, რომლებიც წარმოადგენენ არა ინფორმანტთა ცნობიერების შინაარსის პასიურ ანარეკლს, არამედ ინფორმანტთა საკომუნიკაციო ინტენციის გამოხატულებას;
- რეაქციები სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“ წარმოადგენენ სიტყვის „პატრიოტიზმი“ გამოყენების შესაძლო კონტექსტებს;
- სიტყვის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური მნიშვნელობები ასახავენ სიტყვის კომუნიკაციურ პოტენციალს, რომელიც გულისხმობს სიტყვის უნარს, დაფიქსირდეს კომუნიკაციაში, როგორც გამონათქვამის ელემენტი;
- რეაქციები სტიმულზე „პატრიოტიზმი“ სხვაობენ მათი ზემოქმედების ხარისხის მიხედვით სიტყვაზე „პატრიოტიზმი“.

თავისუფალი ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზმა, კერძოდ კი, სტიმულზე „პატრიოტიზმი“ რეაქციათა სტატუსის - ბირთვულობის (პირველადობის) და

პერიფერიულობის (მეორადობის) - განსაზღვრამ უზრუნველყო რეაქციათა მეტ-ნაკლებად უნივერსალური რეპერტუარის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

ნაშრომში რეაქციათა რეპერტუარის უნივერსალურობა გააზრებულია როგორც რეპერტუარში ინტეგრირებულ რეაქციათა (ასოციაციათა) „ტიპურობა“.

სტიმულზე „პატრიოტიზმი“ რეაქციათა უნივერსალური რეპერტუარის ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი თემატური ჯგუფები:

1. სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებული ენობრივი ობიექტივატორები: “სამშობლო”; “ჯარი”; “დაცვა” და ა.შ.
2. ზნეობასთან დაკავშირებული ენობრივი ობიექტივატორები: “მოვალეობა”; “ღირსება”; “ერთგულება” და ა.შ.
3. ენობრივი ობიექტივატორები, რომლებიც გამოხატავენ დადებით გრძნობებს სტიმულთან მიმართებაში: “სიყვარული”; “შეყვარება”; “ერთგულება” და ა.შ.
4. ენობრივი ობიექტივატორები, რომლებიც ასახავენ ისტორიულ მეხსიერებას: “ომი”; “ჯარისკაცი”; ხსოვნა და ა.შ.
5. სახელმწიფო ძალაუფლებასა და სახელმწიფო ჰერალდიკასთან დაკავშირებული ენობრივი ობიექტივატორები: “დროშა”; “ჰიმნი” და ა.შ.
6. ენობრივი ობიექტივატორები, რომლებიც ასახავენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს: “მშვიდობა”; “სამშობლო” და ა.შ.
7. დაბადების ადგილთან, წარმოშობასა და კუთვნილებასთან დაკავშირებული ენობრივი ობიექტივატორები.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ანალიზმა გამოვლინა შემდეგი კანონზომიერებები:

1. კონცეპტი „პატრიოტიზმი“ წარმოადგენს რესპოდენტთა ცნობიერების განუყოფელ მორალურ და იდეოლოგიურ შემადგენელს;
2. რეაქციების თავისებურება პირდაპირ კავშირშია რესპოდენტთა ასაკთან: რაც უფრო ასაკოვანია რესპოდენტი, მით უფრო ნაკლებად აბსტრაქტული რეაქციები აქვს სიტყვა-სტიმულზე;
3. ასოციაციების სპეციფიკა პირდაპირ კავშირშია რესპოდენტთა სქესთან: მამრობითი სქესის რესპოდენტთა რეაქციებში იკვეთება დაცვაზე, შენარჩუნებაზე ორიენტირებული ქმედებები, ხოლო მდედრობითი სქესის რესპოდენტთა რეაქციებში შეინიშნება შექმნასთან, მშვიდობასთან, სიყვარულთან და ხსოვნასთან დაკავშირებული ასოციაციების სიჭარბე; მამრობითი სქესის რესპოდენტთა რეაქციებში ფიქსირდება სამხედრო

სამსახურთან, სამშობლოს წინაშე ვალდებულებასთან დაკავშირებული მდგრადი ასოციაციები, ხოლო მდებდრობითი სქესის რესპოდენტთა რეაქციებში სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებული ასოციაციების არსებობა არ დასტურდება.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გენდერული და ასაკობრივი ცვლადები ფიქსირდება ასოციაციური განზომილების პერიფერიაში, ხოლო ბირთვი რეზისტენტულია აღნიშნული ცვლადების მიმართ - ბირთვი ინარჩუნებს კონსტანტას სტატუსს - მასში ინტეგრირებულია ის ასოციატები, რომლებიც წარმოადგენენ ნებისმიერი ადამიანის ღირებულებათა სისტემის დომინანტურ კომპონენტებს.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგებს გააჩნია დიაგნოსტიკური ფუნქცია: ისინი ასახავენ, ერთი მხრივ, საზოგადოების ერთიანობას, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა სქესისა და ასაკის რესპოდენტთა შეხედულებების თავისებურებას.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგების დაზუსტებისა და გადამოწმების მიზნით, ნაშრომში განხორციელდა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ და მის ენობრივ ობიექტივატორთა ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და სემანტიკური ანალიზი თანამედროვე ინგლისურ ენაში.

კვლევამ ცხადყო, რომ კონცეპტის ასოციაციური განზომილების კვლევის შედეგთა ვალიდურობა მიღწევადია მხოლოდ ინტეგრალური მიდგომის გამოყენების გზით, ვინაიდან მხოლოდ ინტეგრალური მიდგომა უზრუნველყოფს „ცოცხალი“ სიტყვის არსის კვლევის შესაძლებლობას.

აღნიშნული შესაძლებლობის პრაქტიკული რეალიზაცია გულისხმობს ლექსიკონში ფიქსირებულ დეფინიციათა გადალახვას, კონცეპტში ჩადებული ასოციაციური პოტენციალის გამოვლენას, საბოლოო ჯამში კი, კონცეპტის კუთვნილი ადგილის განსაზღვრას მშობლიური ენის მატარებლების ცნობიერებაში, ენობრივი სოციუმის მიერ გამომუშავებულ კულტურულ მნიშვნელობათა სისტემასა და კოგნიტურ-დისკურსულ პროცესებში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ

პუბლიკაციებში:

1. წულაძე,ლ;(2020); სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა. თბილისი;
2. Atkinson, R. C., & Shiffrin, R. M. (1968). Human memory: A proposed system and its control processes. In K. W. Spence & J. T. Spence (Eds.), *The psychology of learning and motivation* (Vol. 2, pp. 89–195). Orlando, FL: Academic Press.
3. Barsalou, Lawrence W. (2003.) *Language and cognitive processes*, 18 (5/6), 513–562 *Situated simulation in the human conceptual system*. Psychology Press Ltd.
4. Lakoff, G. (1988). *Cognitive topology and lexical networks*. San Mateo (CA): Morgan Kaufman.
5. Langacker, R. (1991). *Concept, image and symbol: The cognitive basis of grammar*. B.: Mouton de Gruyter.
6. Lawrence W. Barsalou, W. Kyle Simmons, Aron K. Barbey and Christine D. Wilson (2003). *Grounding conceptual knowledge in modality-specific systems*. *TRENDS in Cognitive Sciences* Vol.7 No.2. Department of Psychology, Emory University, Atlanta, GA 30322, USA.
7. Silverman, D. (1993). *Interpreting Qualitative Data: Methods for Analysing Talk, Text and Interaction*. London: Sage.

The University of Georgia

The School of Arts and Humanities

Philology

Manuscript Copyright Protected

Tamar Lolishvili

Associative dimensions of the thematic space of "patriotism".

(on the example of the modern English language)

Synopsis

of the thesis submitted in partial fulfillment for the Degree of Doctor of Philosophy (PhD) in

Philology

232.1.3

Tbilisi

2022

The doctoral dissertation has been written at the School of Arts and humanities, The University of Georgia.

Academic Supervisor: Maia Chkheidze,
Doctor of Philological science,
Professor

Reviewers: Madona Shelia,
Doctor of Philological science,
Assc. Professor

Natela Shelia,
Doctor of Philology

The defense of the dissertation will be held on July 28.

Venue: The University of Georgia, Room #519, Building IV, 77a, Kostava str, 0165, Tbilisi, Georgia.

A copy of the dissertation is available at the library of the University of Georgia.

The synopsis was sent on July 6.

Secretary of the Dissertation Board: Natia Manjikashvili

The discreteness of the concept implies the openness of the concept to possible changes in time and space - openness of the concept to new experiences and knowledge. Through discreteness free positions emerge in the content dimension of the concept. The emergence of free positions points to the probability of the emergence of new interpretations.

One of the vectors of modern linguistics is directed towards the study of a speaker's conscious and unconscious attitudes towards the language and the world. The mentioned vector is also directed towards the study of a speaker's intentions, desires and communication strategies. In other words, one of the vectors of modern linguistics is directed towards the study of the specifics of the perception of the world and its conceptualization.

The specifics of the system of intersubjective views of certain language carriers, the peculiarities of the knowledge and ideas embedded in the individual's consciousness are accumulated in associations. The peculiarity of the existence of the word in the linguistic consciousness and the peculiarity of the linguistic consciousness itself are evidenced in the association.

The word meaning, being psychologically actual for a speaker, is accumulated in the associative meaning of the word. The difference between the lexical meaning of the word and the real semantics of the word is revealed in the associative meaning of the word. The associative meaning of the word reveals the associative range of the word. The associative range of the word breaks the boundary of the dictionary meaning of the word.

The shifts in the "life" of the word are caused, on the one hand, by the transformation of the cultural value system of a particular society, and, on the other hand, by the specifics of the cognitive-discursive processes in which the word participates through thought production. Analysis of social and individual systems of knowledge allows the description of the content field of the concept. This field unites meanings and contents, processes and results of the cognitive-discursive activity of the individual and society.

